

ჰეგელის ფილოსოფიაში დასაწყისის პრობლემა და მისი
მეტაფიზიკური იმპლიკაციები

მათე თევზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი ელენე ლადარია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მათე თევზაძე

28.01.2020

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში შევეცდები დასაწყისის საკითხის შუქზე გამოვიკვლიო ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის დაფუძნებისა და წრიულობის მნიშვნელობა. ამ სამუშაოს განსახორციელებლად ნაშრომს წარმოვადგენ ორი ძირითადი და ურთიერთშემავსებელი ნაწილის სახით. პირველ ნაწილში ძირითადად ვეცდები ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის ისტორიული-ჰერმენევტიკული ჰორიზონტების გამოკვეთას, სახელდობრ კი, ანტიკური მემკვიდრეობის ჰეგელის მიერ რეცეფციისა და მისი ფილოსოფიური სისტემის „მომენტად“ გარდაქმნის საკითხს. ამას გარდა, პირველ ნაწილში, დასაწყისისათვის, მიმოვიხილავ ჰეგელთან მეტაფიზიკის საკითხზე არსებულ თანამედროვე დებატებს, რომელში გამოკვეთილი ინტერპრეტაციული პოზიციების ლანდშაპტზეც, ნაწილობრივ, გავშლი ჩემი გამოკვლევის არგუმენტაციას. მეორე ნაწილში შევეცდები ჰეგელთან დასაწყისის პრობლემის უფრო სისტემურ წარმოდგენას, რომელიც, ამავდროულად, შეინარჩუნებს გარკვეულ შეჭიდულობასა და თემატურ თუ არგუმენტაციულ ერთიანობას პირველი ნაწილის შეკითხვებთანაც. ვეცდები ვაჩვენო, თუ რა მიმართება არსებობს ამ საკითხის შუქზე ჰეგელი *ლოგიკის მეცნიერებას, გონის ფენომენოლოგიასა* და მთელი ფილოსოფიურ სისტემას შორის. თუმცა, გამოკვლევის საერთო ცენტრში *ლოგიკის მეცნიერება* განთავსდება. დასასრულს, ჰეგელის კანტთან მიმართების სხვადასხვა ფონის ინტერპრეტაციული კითხვების ფონზე, ერთი მხრივ, ვეცდები, გარვეულწილად, თავი მოვუყარო მოცემული გამოკვლევის შედეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, მოცემული გამოკვლევის იმპლიკაციები გამოვკვეთო ჰეგელთან მეტაფიზიკის საკითხთან დაკავშირებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჰეგელი, გ. ვ. ფ., კანტი, ი., არისტოტელე, პლატონი, დასაწყისი, სპეკულატიური ლოგიკა, მეტაფიზიკა, უარყოფითობა, დიალექტიკა, წრიულობა.

Abstract

In the following inquiry I will attempt to figure out the questions of grounding and circularity of Hegel's philosophical system with respect to the question of the Beginning. I will carry out this philosophical enterprise by representing the work in two basic complementary parts. In the first part of the inquiry I will try to account for the historical-hermenutical horizons of Hegel's philosophical system, namely, the question of the philosophical reception and transformation of Ancient Greek legacy. Furthermore, I will try to expose some basic questions and interpretative positions of contemporary Hegel reception, mainly concerned with the question of metaphysics, in order to later use it, in part, as a kind of interpretative landscape for my arguments. In the second part of the inquiry, generally, I will argue more in a systematic manner that which at the same time will complement the first part of the study. In the light of the philosophical question of the beginning, I will try to demonstrate the relationship between Hegel's *The Science of Logic*, *Phenomenology of Spirit* and the overall system presented in the *Encyclopedia* form. However, *The Science of Logic* will take up the central interpretative place in the whole enterprise. In the end, by accounting for the proper relationship between Kant and Hegel I will do the following conclusive work: 1. I will attempt to recapitulate the overall results of the study & 2. I will demonstrate the implications the study might have for the question of metaphysics and ontology in Hegel.

Key Words: Hegel, G.W.F., Kant, I., Plato, Aristotle, the Beginning, Speculative Logic, Metaphysics, Negativity, Dialectics, ,Circularity.